საქართველოს მთიანი ტერიტორიების პრობლემები
და საერთაშორისო გამოცდილება

გიორგი კაპანაძე

ელ-ფოსტა: giokap100@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ი. ჭავჭავაძის გამზ. #3, 0179, თბილისი

მთიანი ტერიტორიების გამოყენების ფორმები და მასთან და კავშირებული პრობლემები პირდაპირ კავშირშია ქვეყნის განვითარების დონესთან. თუ განვითარებად ქვეყნებში მთიანი რეგიონები „გამოირჩევიან“ ეკონომიკური ჩამორჩენილობით, სოციალური დაძაბულობით და მიგრაციის მაღალი მაჩვენებლებით, საპირისპირო ვითარებაა განვითარებულ ქვეყნებში. აქ მთიანი რეგიონები უკვე ჩამოყალიბდნენ ტურისტულ ცენტრებად და ხასიათდებიან ცხოვრების მაღალი დონით.

ყველა ქვეყნის სტრუქტურულ პოლიტიკაში მთიან რეგიონებს განსაკუთრებული ადგილი უკავია, ამიტომაც საინტერესოა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მიდგომები მთიან ტერიტორიებთან დაკავშირებით.

მოხსენებაში განხილულია მთიანი ტერიტორიების პრობლემები „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების სტრატეგიის“ მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონების ინკლუზიური და მდგრადი განვითარების სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებას. არსებული სტრატეგიული დოკუმენტი შედარებულია მსოფლიოს სხვა მაღალმთიანი ქვეყნების განვითარების სტრატეგიასთან. ასევე მოხსენებაში განიხილულია საქართველოში არსებული „ მთის კანონი“ რომელიც შედარებულა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების „მთის კანონთან“.